

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ 100 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის სესხების გაცემის შესახებ აცხადებს

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკმა“ (შემდგომში „ბანკი“) 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული 448,268 მსესხებლისთვის 108.2 მილიონი ლარის ოდენობის სესხის გაცემის შესახებ განაცხადა. შედეგად, 2010 წლის 28 თებერვლისთვის ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 113.7 მილიონ ლარს გაუტოლდა და 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული 21.0%-ით, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 7.1%-ით გაიზარდა.

2010 წლის იანვარსა და თებერვალში ბანკმა 161,000-ზე მეტ ფიზიკურ პირზე 39.4 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გასცა. შედეგად, მხოლოდ ფიზიკური პირების მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 62.8 მილიონი ლარი შეადგინა და 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული 35.0%-ით, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 8.0%-ით გაიზარდა. 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ბანკმა 6.7 მილიონი ლარის ოდენობის კორპორატიული სესხი გასცა, რაც მთლიანად გაცემული სესხების 6.2% შეადგენს.

კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელმა 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 34.1 მილიონი ლარი შეადგინა, 2009 წლის 30 სექტემბერთან შედარებით 11.5%-ით, ხოლო 2009 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 16.0%-ით გაიზარდა.

** ამ პრეს რელიზში მოყვანილი ყველა ციფრი არის წინასწარი არააუდიტირებული მონაცემი. ბანკის საბოლოო შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ პრეს რელიზში მოყვანილი ციფრებისგან.*

სს „სახალხო ბანკის“ შესახებ

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.1% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ 175 ფილიალისგან შემდგარი ყველაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge

თამუნა გუნიას
ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი
ტელეფონი: +995 91 20 55 11
ელ-ფოსტა: ir@peoplesbank.ge

„ლიბერთი ინვესტმენტის“ შესახებ

„ლიბერთი ინვესტმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lg@libertycapital.ge

დამიტრი კასატკინს
დირექტორის მოადგილე
+44 77 860 28 700
ელ-ფოსტა: dk@libertycapital.ge